თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 9

2 დეკემბერი 2025 წელი

ქ. თერჯოლა

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ბადრი ბუცხრიკიძე, 2.ბიძინა ბუცხრიკიძე, 3. სერგი ჯიხვაშვილი, 4. ჯემალ ისაკაძე, 5. შალვა ჭანკვეტაძე, 6. გოჩა ვერულაშვილი, 7. ლაშა გურგენიძე, 8. ნოდარი ხოხიაშვილი, 9. გიორგი ბერეკაშვილი, 10. ზურაბ ჩხიკვაძე, 11. სოსო ჩაფიჩაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. იუზა უგრეხელიძე, 2. მირზა აფრიდონიძე

კომისიის შემადგენლობა: 13 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 11
კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2026-2030 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282533515, 01.12.2025 წ).

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2026-2030 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას, თერჯოლის მუნიპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 13 სექტემბერს N46 14 განკარგულებით დამტკიცებული აქვს 2020-2025 წლების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების

სამოქმედო გეგმა, საიდანაც ნაწილი პროექტებისა უკვე განხორციელებულია, ნაწილი კი მიმდინარეობს.

დღეის მდგომარეობით, საჭიროა ახალი სამოქმედო გეგმის დამტკიცება 2026-2030 წწ, სადაც ამოღებული იქნება წინა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული უკვე დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები, ასევე საჭიროა ახალი პროექტების დამატება, კერძოდ:

1. სოფ. ზედა სიმონეთში სერგო და დავით კლდიაშვილების სახლმუზეუმიდან ბედიაურთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
2. სოფ. ჭოგნარში ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
3. საზანოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. 26 მაისში ვარდოსანიძეებისა და კვანტიძეების უბნების გზის (VII მონაკვეთი) რეაბილიტაციის სამუშაოები.

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა

წარმოდგენილ პროექტებს კომისიის წევრების მიერ დაემატა პროექტები:

1. ქვედა სიმონეთში ცერცვაძეები, გვენეტაძეების უბნიდან სათემოს დამაკავაშირებელი გზის რეაბილიტაცია.
2. სოფელ სეფარეთში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია.
3. სოფელ ახალთერჯოლაში მეტლახის უბანში ნიკოლაძეები, გიგაშვილების გზის რეაბილიტაცია.
4. სოფელ ახალთერჯოლაში სახელაშვილების უბანში არსებული შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია.
5. სოფელ რუფოთში დიაკონიძეების უბანში არსებული გზის რეაბილიოტაცია;
6. სოფელ ჩხარში დათიაშვილების უბანში არსებული გზის რეაბილიტაცია.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11 წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამატებით ,განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2026-2030 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე

ბადრი ბუცხრიკიძე